

ლიცენზიაციის საშუალო



საშუალოს მუნიციპალიტეტის ბაზეთი „საშუალოს მოამბის“ დამატება
№9, 26 სექტემბერი, სამშაბათი, 2017 წელი

SOS!!!

„არსებობა წინ უსწრებს არსებას“.
ჟან პოლ სარტრი

„თუ თავი შენი შენ გახლავს, ღარიბად
არ იხსენები“
შოთა რუსთაველი

გაყოფილებული ცნობიერება –
აპოკალიფსი დღეს

სიცოცხლის საფრთხის შემცველი პროცესების კატასტროფულ ნიშნულთან მიახლოების მზარდ ტემპს, ჯერჯერობით, ვერაფერს ვერაფერი ამუხრუჭებს. ვითარება მეტისმეტად საგანგაშოდ გამოიყურება. ადამიანის, საზოგადოებისა და ბუნების არსებითი მაკავშირებელი და პასუხისმგებელი ადამიანის ცნობიერება, სადღეისოდ, კაცობრიობის ისტორიისათვის არნახული გამოცდის წინაშე აღმოჩნდა. გამომცდელი ფულია, ოღონდ დიდი ფული!

ეკონომიკური ინტერესების მიერ შთანთქმული პოლიტიკა იმდენად ტრაგიკომიკურად გამოიყურება, რომ უკვე, საკმაოდ კარგად შეფუთული დემოკრატიის ნიღაბიც კი მის უსახურ სახეს ვეღარ ფარავს. არსებული ვითარების გამონვლილვით გაანალიზებისთვის მოაზროვნეთა იმ დასს, რომელიც კავკასიური სახლის მიერ გამოცემული წიგნის – „მწვანე ანთოლოგიის“ ავტორებს წარმოადგენენ, საბედნიეროდ, აღმოაჩნდათ სრული შინაგანი თავისუფლება, პასუხისმგებლობა და შესაბამისად, გამბედაობაც, რომ საგნებსა და მოვლენებს დაერქვას თავიანთი სახელები, კერძოდ ის, რომ ყოველივე ღირებულს განადგურება ემუქრება.

საბაზრო ფასდების ყველაფერში უპირობოდ დამკვიდრების გამო სამართლიანობასა და ზნეკეთილობას ყოფითი ცხოვრებისთვის მნიშვნელობა იმდენად დაეკარგა, რომ ადამიანური არსებობის ეს უმნიშვნელოვანესი მახასიათებლები სრულიად მარგინალიზებული აღმოჩნდა.

რეიტინგს დადევნებული ტელევიზია და ფულად მოგებაზე ორიენტირებული მმართველობა ფორმალურადაც კი ვერ ითავსებს კრიტიკულ ცნობიერებას. უაპელაციოდ განიდევნა ყველა ფორმის საზოგადოებრივი არენიდან გონივრული სიტყვა. საცნაური და ბევრის მეტყველია ისიც, რომ „ცნობილი ადამიანის“ ნაცვლად დამკვიდრდა „ცნობადი სახე“, მაშინ, როცა ცნობილი ადამიანი ნიშნავს საქმით გამორჩეულს, ხოლო ცნობად სახეში მოიაზრება მხოლოდ ტელევიზიით მრავალჯერადად ნაჩვენები და დამახსოვრებული ვიზუალი და სხვა არც არაფერი. როცა საქმის, იგივე შრომითი მოღვაწეობის მნიშვნელობა იკარგება, მაშინ ავტომატურად უუცხოვდება საზოგადოება თავისსავე თავს, ყოველივე ადამიანურს, – ე.ი. კულტურას. ეს ადამიანური არსებობის სივრცის ჩახშობაა. ეს სახიფათოა!

საბანკო კაპიტალი, როგორც საბაზრო სივრცის მთავარი ფაქტორი,

რი, საზოგადოების მხრიდან გაცილებით მეტ კონტროლს ითხოვს. სწორედ ამ სეგმენტს აქვს „დიდი ფულის“ ძალა, იგივე ის ბერკეტი, რითაც შეუძლია ხელისუფლების ნებისმიერ შტოზე, განსაკუთრებით, საკანონმდებლო რგოლზე განუსაზღვრელი გავლენის მოხდენა. გავლენის მოხდენის მთავარი მოტივი მათი მხრიდან არასამართლიანი, არაჰუმანური ქმედებების დაკანონებაა.

თანამედროვე საბანკო სექტორის უმეტესი ნაწილი, როგორც საბანკო საქმის მცოდნენი აღნიშნავენ, წარმოადგენს ერთ გიგანტურ სოლიტერს, რომელიც ხარბად ღრღინის თავისთავად უკვე დაავადებულ ორგანიზმს. ბანკი არ ქმნის არაფერს ახალს, უბრალოდ, შეინოვს სხვის სიკეთეებს. ბანკირებმა უამრავი გზა გამოძებნეს ამის განსახორციელებლად. თუმცა, ძირითადი მექანიზმი ერთია: მოქალაქეს შეთავაზონ სესხები, რომლებიც საბოლოოდ იწვევს ფასების დაუფერებელ ზრდას...“.

დიახ, ბანკის მიერ ფულის მოპოვების გზა რენტიერულია, ე.ი. ფულის მოპოვება ხდება სხვის ხარჯზე, უკვე არსებულის ოპერაციული კონტროლით. „საერთაშორისო მონეტარულმა ფონდმა და საერთაშორისო გადასახადების ბანკმა, არც ისე შემარცხენე ორგანიზაციებმა, ჩაატარეს კვლევა, რომლის მიხედვითაც დადგინდა, თუ როგორ გარდაიქმნა ფინანსური სექტორი აშკარა პარაზიტულ წარმონაქმნად, ნაცვლად იმისა, რომ შეექმნათ სიმდიდრე, ისინი მას, უბრალოდ, ეპატრონებიან“ (რუტვერ ბერგმანი).

რატომ ხდება ეს ყოველივე?

იმიტომ, რომ ეს შესაძლებელია!

დიახ, შესაძლებელია – „დიდი ფულის“ მიერ პოლიტიკაზე ზეგავლენის გზით, ხელისუფლებასთან დაახლოებით, მისი ფინანსური და ფსიქოლოგიური დატყვევებით.

გერმანიის საკანონმდებლო ორგანოს წევრი და ცნობილი ეკონომისტი – გერჰარდ შიკი „მწვანე ანთოლოგიის“ ნაწილში – „რალაც ისე არ მიდის“, ფილიგრანული სიზუსტით აანალიზებს თანამედროვე ევროპის პრობლემებს. შიკი მის მიერვე დასმულ კითხვას: და მაინც, ვის ხელშია მართვის სადავეები? – ასე პასუხობს: „მოქალაქეებს აღარავინ ეკითხება, როდესაც ევროკომისიის, ევროპის ცენტრალური ბანკის და საერთაშორისო სავალუტო ფონდისგან შემდგარი ოდიოზური „სამეფული“ (ენ. „ტროიკა“) საკუთარ ექსპერტებს მოქმედების სრულ თავისუფლებას აძლევს და რეგულირების პროგრამა მინოლით გააქვს ნაბორძიკებულ ქვეყნებში. საქმე ისაა, რომ ეს სამი ინსტიტუტი, რომელიც მილიონობით ადამიანის კეთილდღეობის ბედს წყვეტს, არ არის უშუალოდ დემოკრატიულად კონტროლირებადი.“

ნებისმიერი დემოკრატიულად არაკონტროლირებადი სისტემა პოტენციური კანონდამრღვევი, მოძალადეა და, მაშასადამე, დამნაშავე. შიკის მიერ აღნიშნული ერთ-ერთი შემთხვევა, როდესაც ირლანდიის მთავრობის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის გაჯანსაღებისთვის დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ ბუნდესტაგის წევრებმა ირლანდიელ პარლამენტარებზე ადრე შეიტყვეს, მართლაცდა, რა უნდა იყოს, თუ არა გარედან მართული, ამა სოფლის ძლიერთა ინტერესს დაქვემდებარებული პროცესი?!

რითი განისაზღვრება სიძლიერე და რამდენად საიმედო შეიძლება იყოს იგი იმ ძირეული, ფუნდამენტური ღირებულებისათვის, რომელსაც

ადამიანური არსებობა ანუ თავისუფლება ჰქვია? ვინ და რა არის დღეს ძლიერი? რა აღმოჩნდა სიცოცხლეზე მეტად ძლიერი ანუ მნიშვნელოვანი?

ადამიანის საარსებო სივრცე, როგორც პროგრესული, ან რეგრესული, როგორც ჰუმანური, ან არაჰუმანური, მხოლოდ მატერიალურისა და სულიერის თანაფარდობით თუ დახასიათდება. არც ერთ ეპოქას არ ჰქონია მატერიალურის მნიშვნელობის უმაღლეს ხარისხში აყვანის ისეთი მძაფრი მცდელობა, ისეთი ჟინი, როგორც მეოცე საუკუნის დასასრულსა და ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისს. წარსულში, ასე თუ ისე, მაინც ხერხდებოდა სულიერთან მატერიალურის დაბალანსების მექანიზმის მოძებნა, რასაც მეტ-ნაკლები წარმატებით ართმევდა თავს ხან რელიგია და ხანაც ტრადიცია, ან ორივე ერთად, ზოგადად, კულტურა. ახლა კი თანამედროვეობა კულტურის მწვავე კრიზისს განიცდის. უმთავრესი ინდიკატორი არის მინის, წყლისა და ჰაერის საგანგაშო მდგომარეობა, რომელთა მიმართაც, როგორც ხელისუფლების, ასევე ცალკეული ადამიანების მხრიდან უმრავლეს შემთხვევაში მხოლოდ ნეკროფილური დამოკიდებულება ვლინდება. სასიცოცხლო სივრცის უგულვებელყოფა, მისადმი გამანადგურებელი დამოკიდებულება, თვითაგრესია, იგივე თვითლიკვიდირების იმპულსი, სხვა რა არის, თუ არა კოლექტიური ნიჰილიზმი, ყოვლისმომცველი კულტურული პესიმიზმი, ღიად მოცემული ნეკროფილია.

ფულის ყოვლისშემძლეობა ზენიტშია. რამდენადაც მისი მნიშვნელობა იზრდება, იმდენად კნინდება ადამიანის ცხოვრებაში არამატერიალურის მნიშვნელობა, მისი არაპრაგმატულობის გამო. **სინდისს, სიყვარულს, მეგობრობას, პატრიოტიზმსა და ა.შ. კონკრეტული ქმედებების უნარი აღარ გააჩნიათ. მათი სივრცე დავინროებულია და შესაბამისად, გაუფასურებული.**

წარსულის ვერც ერთი დიდი ეკონომისტი ვერ წარმოიდგენდა ისეთ საბაზრო სისტემას, სადაც ბაზარზე გატანილ საქონელს სახმარ და საცვლელ ღირებულებასთან ერთად, ისეთი ფუნქციაც ექნებოდა დაკისრებული, როგორც ეს დამოკიდებულების გამომწვევ საქონელს შეუძლია „ანარმოს“ თავად მომხმარებელი. რაც დრო გადის, ასეთი საქონელი და მომსახურების ფორმა უფრო და უფრო მოთხოვნადი ხდება რეალობიდან გაქცევის მზარდი ტენდენციის გამო. მათ შორისაა: ნარკოტიკი, სათამაშო ბიზნესის სახეობები, სწრაფი კვების პროდუქტები, კლუბური სპეციფიკური გართობები და ა.შ. საბაზრო ფასი მინოდებისა და მყიდველის, მომხმარებლის პროპორციულ შეფარდებაზეა დამოკიდებული. რადგან ნარკოტიკის შემთხვევაში ერთი მომხმარებელი მასზე დამოკიდებულების გამო მომხმარებლის სიმრავლედ გადაიქცევა, ამიტომ ნარკოტიკის ბაზარზე შეტანა ფულადი მოგების მიზნით, საკმაოდ პრაგმატულია. დიახ, ადიქციას, იგივე ნებისმიერ დამოკიდებულებას ერთი ადამიანი შეიძლება სამ, ხუთ და მეტ დამოკიდებულ ადამიანად აქციოს. შესაბამისად იზრდება ფულის მოთხოვნაც, დანაშაულიც და რაც მთავარია, დგება უაღრესად სამწუხარო შედეგი – პიროვნების ნაშლა, დეგრადირება. როგორც დიდი ეკონომისტები ამბობენ, მოთხოვნა ზრდის წარმოებას და წარმოება – მოთხოვნას!

გერმანელი პოლიტიკოსი და მწვანეთა პარტიის წევრი – **რალფ ფიუქსი** როდესაც ანალიზებს ბუნებასა და ადამიანთან მიმართებაში „დიდი ფულის“ მაძიებელთა დამოკიდებულებას, ნამუსდაკარგულ ფულით მოთამაშეებს უწოდებს მათ. იმ ტიპის ეკონომიკურ ზრდას, რომელიც მხოლოდ დიდ ფულად მოგებაზეა ორიენტირებული, ფიუქსის მტკიცებით, ავტომატურად მოჰყვება ეკოლოგიური სტრესის აჩქარება და შესაბამისად, იმავე ტემპით მოსახლეობის ფიზიკური და ფსიქიკური დაძაბულობა, ჯანმრთელობის გაუარესება. ამავდროულად, საზოგადოებას მძიმე ტვირთად აწვება სიღარიბის საყოველთაო შიში. ფულთან იმდენადაა დაკავშირებული ყოველდღიურობის, ყოფითობის ყოველი დეტალი, რომ გაუცნობიერებლად იძენენ საგნები ფსიქოლოგიურ დატვირთვას. რომელი ფირმის ავტომობილით ვმგზავრობთ, რა ღირებულების ტელეფონით ვსარგებლობთ, რამდენად მდიდრულია ჩვენი მაჯის საათი, სათვალე, სამოსი და ა.შ. ამის მიხედვით ვლაპარაკობთ

თუ სად, რომელ სოციალურ ფენას ვეკუთვნით, ამის მიხედვით ხდება სოციუმში ჩვენი მიღება-არმიღება. ფილოსოფიური ყოფნისა თუ ფლობის არჩევანში ფლობამ ცხადად „დაჩაგრა“ ყოფნა. რასაც ფლობ, შენც ის ხარ და არა ის, რას გრძნობ, რას ხედავ, რას განიცდი. ამჯერად ასეთია ამსოფლიურობის ფაქტობრივი სახე. აქ ვიზუალმა მთლიანად შთანთქა ადამიანური არსებობის არსი, ჭეშმარიტი შემოქმედებითობის მნიშვნელობა.

თანამედროვეობის პრობლემათა ნუსხაში ყველაზე დიდ სირთულედ „დიდი ფულის“ მიერ „ხელისუფლების ყიდვა“ წარმოდგენილი. რადგან კორუმპირებული პოლიტიკა რეალურად მხოლოდ საგანდაკარგულ ფსევდოპოლიტიკად რჩება და „დიდი ფულის“ ხელისმსახურობის გარდა, სხვა არც და ვერც ვერაფერი იქნება. თუმცა, არც გერმანიაში, არც საქართველოში და არც არსად, ყოველივე ზემოთ აღნიშნული კრიტიკული ცნობიერებისათვის დაუნახავი და გაუცნობიერებული არ არის. მაგრამ ესეც ფაქტია და ამავდროულად, სამწუხარო, რომ უმრავლეს შემთხვევაში მერკანტილურობა ე.წ. ექსპერტთა თუ არასამთავრობო თუ პოლიტიკოსთა ხედვას ისე ამრუდებს, იმდენად ხდება კონფორმულობის სიღრმეებში ჩაძირვა, რომ თავადვე იჯერებენ და იღებენ არარეალურს რეალობად, სიცრუეს სიმართლედ, უსამართლობას სამართლიანობად, სიმახინჯეს მშვენიერებად და ა.შ.

იურგენ ტრიტინის ნიგნმა „სიმშვიდე, უმოძრაობა-Made in Germany“ (2014 წ.), რომელიც ეძღვნება სოციალურ სამართლიანობას, მდგრადი განვითარებისა და ეკოლოგიური ტრანსფორმაციის საკითხებს, იმთავითვე საზოგადოების დიდი ინტერესი გამოიწვია. „მწვანე ანთოლოგიის“ მეშვეობით საქართველოს მოსახლეობას მშობლიურ ენაზე ისეთი მნიშვნელოვანი საკითხების გაცნობისა და გაანალიზების საშუალება მიეცა, რომელიც ქართული სინამდვილისთვისაც მეტად აქტუალურია და პრობლემატური. ესაა: კლიმატის დაცვის საკითხი, ენერგეტიკული გარდატეხის აუცილებლობა, ტრანსპორტის გარდაქმნა, აგრარული განვითარების დაჩქარება და ა.შ.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს იურგენ ტრიტინის შეხედულებები საბანკო სექტორთან დაკავშირებით. მისი მტკიცებით უნდა შეიქმნას ისეთი საბანკო სექტორი, რომელიც თავის რისკებს თავისსავე თავზე აიღებს. აღნიშნული პრინციპებით მომუშავე ბანკებს გონივრული მასშტაბებიც ექნება და კვლავაც რეალურ ეკონომიკას (მთლიანი ეკონომიკის ნაწილი, რომელიც ფინანსურ ეკონომიკას, ფინანსურ ბაზარს კი არ განეკუთვნება, არამედ რეალურ საქონელთან აქვს საქმე) მოემსახურება. **„უწინარეს ყოვლისა, საჭიროა ფინანსური ბაზრის უონგლიორთა ზღვარგადასული ქმედებების ასევე ზღვარგადასული რეგულირება“ (იურგენ ტრიტინი).**

„მწვანე ანთოლოგიის“ ავტორებს, როგორც ერთს, ისე აერთიანებთ აზრი იმის შესახებ, რომ სიმდიდრის დაგროვების ტემპში ჩართულ ეკონომიკას დაუნდობლად ეწირება მთელი პლანეტა თავისი მიწით, წყლით, ჰაერით, ფლორით, ფაუნითა და ადამიანებით, ანუ სიცოცხლით. ცხადია, არის მცდელობა გამოსავლის ძიებისა, მაგრამ თუ ის კანონით არ გამყარდა, მაშინ ყოვლისმომცველი შიშის მძიმე ტვირთი უფრო დაუმძიმდება ისედაც ნირნამხდარ კაცობრიულ ცნობიერებას.

„ჩვენ უახლოესი თაობის ვალი გვმართებს, ეს ასეა.“ – ნერს ტრიტინი – ჩვენი ვალია, მათ დაუტოვოთ გამართული პლანეტა, ფუნქციონირებადი ინფრასტრუქტურა, საზოგადოება, სადაც ცხოვრება ღირს. სოციალური, ტექნიკური, ეკოლოგიური ინვესტიციები გვმართებს ჩვენი მომავალი თაობისა. ჩვენ მათ ვალები არ უნდა დაუტოვოთ, მეტადრე ეკოლოგიური ზიანის ფორმით“.

დაუსრულებელი ეკონომიკური ზრდის წყურვილის შედეგი იმაზე მეტია, ვიდრე წარმოგვიდგენია. კერძოდ, თუ დედამიწაზე სიცოცხლის დასრულებას მილიარდობით წლების შემდეგ მზის ჩაქრობის გამო ვარაუდობენ, მანამდე ერთ-ორი ასეული წელიც კი არ დაჭირდება იმას, რომ დედამიწელებმა დაჩქარებული წესით „მოახერხონ“ ეს, – მზის ჩაქრობას თვითონვე დაასწრონ.

საკუთარ, პიროვნულ პასუხისმგებლობას გაქცეული ადამიანი თვითგანადგურებიდან საყოველთაო, ყოვლისმომცველ განადგურებამდე ისე მიდის, იმდენად ავტომატურად ერთვება ამ პროცესში, რომ მისი

გაცნობიერებისთვის იოტისოდენა ადგილსაც კი აღარ იტოვებს. სილარიზის შიშით აღძრული, „დიდი ფულის“ დაუფლების ვნებას რომ შეძლება აზროვნების ბლოკირება, მისი უმოწყალოდ ჩახშობა, – ამის გაცნობიერება და განგაშია ეს წიგნი, – საბედნიეროდ, ჯერ კიდევ, საიმედო განგაში!

ტექნიკური განვითარების პარალელურად გაფართოებულმა სავაჭრო ქსელმა, შრომის სახელმწიფოებრივმა დანაწილებამ, ფინანსური კაპიტალის ძალმომრეობითმა საქმიანობამ, ბიზნესის მონოპოლიზებამ, დიდი ფულის მიერ ხელისუფლების „დაპყრობამ“ ჭეშმარიტი მეცნიერული აზროვნება ე.წ. ექსპერტებს ისე გადააბარა, რომ მეცნიერების, როგორც შემეცნებითი, ასევე პრაქტიკული მნიშვნელობა ყოველდღიურობიდან არა მხოლოდ განდევნილი, არამედ „დაპატიმრებული“, ვინაშნო სამეცნიერო წრეებში ჩაკეტილი აღმოჩნდა.

გამოსავლის ძიებამ ცნობილი ეკოფემინისტი **პეტრა კელი** მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ „თანამედროვე სიტუაციაში პოლიტიკას შინაარსებისა და ფორმების ცვლილება სჭირდება, კერძოდ, სამყაროს მთლიანობის თეორიათა ხედვა, ნაცვლად დაყოფისა და დანაწევრებისა.“ და იქვე განაგრძობს, რომ საჭიროა, ადამიანებმა შეცვალონ შეგნება საკუთარი ცხოვრების სტილსა და ქმედებებთან დაკავშირებით.

კელის მოთხოვნა, რომელიც ადამიანთა ცნობიერების შეცვლას გულისხმობს, ცხადია, ამჯერად უკეთილშობილესია და იმავდროულად, მეტისმეტად საშური. თუმცა, იმის გათვალისწინებით, თუ რა ფსიქოსოციალური ტოქსინების ველში უწევს თანამედროვე ადამიანს ცხოვრება, ცნობიერების ცვლილება რომ დიდ სირთულეებთან იქნება დაკავშირებული, ცხადზე უცხადესია. ერთია თანამედროვეობაში ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ და კულტურულ სფეროთა თანაფარდობისა და ურთიერთდამოკიდებულების კატასტროფული სურათი, სადაც ეკონომიკური ინტერესების მიერ ყველა და ყველაფერი შთანთქმულია და მეორეა მისი შეგრძნება, აღქმა, აღიარება ანუ გაცნობიერება. სილარიზის შიშის ველში სოლივიტაა შეჭრილი ამწუთიერი ტკობით ცნობიერების გათიშვის იმპულსი. რეალობიდან გაქცევის პერმანენტულ რეჟიმში მყოფ ადამიანს ეუცხოება აზროვნება, მომავლის წარმოსახვა და აქედან გამომდინარე, არსებულზე პასუხისმგებლობა! და ეს ყოველივე იმ დროს ხდება, როცა „ოფიციალური ეკონომიკა დღემდე არ ითვალისწინებს იმ გლობალურ ზარალს, რომელიც ადამიანის საქმიანობის შედეგად მიადგა დედამიწას“ (პეტრა კელი).

თანამედროვე საზოგადოებისადმი სასაყვედურო, პირველ რიგში არის მეტისმეტად გაზრდილი, ზღვარდაკარგული მომხმარებლური ბუნება. მაშინ, როცა ამ მზის ქვეშეთში მხოლოდ ადამიანს მიეცა უნარი იმისა, რომ იყოს შემოქმედი და ყველა ცოცხალი არსებისაგან განსხვავებით აილოს პასუხისმგებლობა, როგორც საკუთარ თავზე, ასევე საზოგადოებასა და ბუნებაზე.

გერმანელი სოციოლოგი და ინდუსტრიული ურთიერთობის მკვლევარი **ვოლფგანგ შტეერი** პუბლიკაციაში „ნეოლიბერალური რეფორმა“ აანალიზებს და მწვავედ აკრიტიკებს მომხმარებლურ საზოგადოებას, კაპიტალიზმსა და ნეოლიბერალიზმს სწორედ იმ მიმართულებით, რომ მათ პირობებში შესაძლებელი გახდა სოციალური და საბაზრო სამართლიანობის, ამ ორი ერთმანეთთან კონკურენციაში მყოფი პრინციპის „გარიგება“ და შემდგომ ერთდროული ლეგალიზება.

საბაზრო სამართლიანობის მიმდევრები, მიუხედავად ამისა, უკან მაინც არ იხევენ და ცდილობენ პოლიტიკური თვალსაზრისით დომინანტური პოზიციის მოპოვებას. სოციალურ სამართლიანობას მოიხსენებენ, როგორც პარტიკულარისტული თვალსაზრისით, „პოლიტიკურად“ ბინძურს. საბაზრო სამართლიანობის პოზიციის დამცველები თავიანთ თავს წარმოაჩენენ, თითქოსდა, პოლიტიკისაგან დამოუკიდებელნი იყვნენ. ცხადია, დიდი ფულით „მოჯადოებულ“ პოლიტიკას ბაზარი იყენებს ე.წ. საბაზრო სამართლიანობის სახელის დამკვიდრებისთვის, დემოკრატიულობის ფასადისთვის. ჩნდება კითხვა: ფსევდოეკონომიკურ და ფსევდოპოლიტიკურ ხდომილობათა ველში მოქცეულ ადამიანს რა არჩევანი შეიძლება ჰქონდეს? ის ხომ არ წარმოადგენს უნივერსალურ ტრანზისტორულ არსებას, ის ხომ იმ სისტემის პროდუქტია, რომელშიც ის წარმოიშვა. მაშინ სად, რომელ ველში უნდა იგრძნოს მან

თავი ადამიანად? სად გამოხატოს თავისი თავი?

თუ ადრეულ პერიოდში ადამიანი მუდმივ და მჭიდრო კავშირში იყო სამყაროსთან მიწით, წარსულით, ნათესაობით და მისი გადარჩენა დამოკიდებული იყო დადგენილ ერთობლივ თანამშრომლობაზე, ახლა იგი მიჯაჭვულია მხოლოდ ფულზე. შედეგად შესაბამისი დადგა: ადამიანური ურთიერთობები თავიანთი ჭეშმარიტი მნიშვნელობისაგან კრიტიკულ ზღვრამდე განძარცვული აღმოჩნდნენ!

„მწვანე ანთოლოგია“-ში გამოქვეყნებულია განათლებით ფილოსოფოსის – **რუდოლფ ბაროს** „გადარჩენის გზის აქსიომები“, სადაც ავტორი თეზისების სახით გადმოსცემს არა მხოლოდ არსებულ პრობლემებს, არამედ მისი გადანყვეტის პერსპექტივაზეც არგუმენტირებულად საუბრობს. ბარო ცდილობს საზოგადოების ყურადღება შეაჩეროს იმ გარემოებაზე, რომ „არსებობს რაღაც, რაც ტექნიკურ და თუნდაც, სოციალურ სტრუქტურებზე უფრო მნიშვნელოვანია“.

ბაროს მიაჩნია, რომ ევროპამ, განსაკუთრებით კი გერმანიამ უნდა იტვირთოს დედამიწის ყოველმხრივი გადარჩენა, როგორც ფიზიკური, ასევე სულიერი, რადგან სწორედ აქ ჩაისახა ეს თვითმკვლელობად ქცეული კულტურა. ხოლო გერმანიამ ყველას და ყველაფერს გადააჭარბა იმით, რომ იგი XX-საუკუნის ორი დიდი კატასტროფის მთავარი მიზეზი გახდა.

ბაროს მიერ თვითგამანადგურებელი კულტურის პასუხისმგებლობის დაკისრება ევროპისთვის, ერთი შეხედვით, შეიძლება, გადაჭარბებული მოგვეჩვენოს, მაგრამ თუ დასავლური დემოკრატიის თავდაპირველი შემდგენელების მიხედვით ვიმსჯელებთ, მის ფალსიფიცირებასა და სიმულირებაზეც პასუხისმგებლობა ევროპულ ცნობიერებას რომ დაეკისროს, ალბათ, უფრო ლოგიკური იქნება. დიახ, ძველ ბერძნულ კულტურაზე, ქრისტიანულ ნორმებსა და ლიბერალურ ეკონომიკაზე დაფუძნებულ ევროპას ძალუძს მოვლენების მიუკერძოებელი ხედვა, მიზეზ-შედეგობრივი კავშირების სიღრმისეული წვდომა და შესაბამისი კონსტრუქციული მოქმედება.

წიგნის – „მწვანე ანთოლოგიის“ მთლიანი პათოსიც ეს არის.

ფსიქოანალიზური სქემის აზრობრივი გათამაშებით ევროპა უფრო კაცობრიობის ეგო, იგივე რეალობის პრინციპით მოქმედი შრე იქნებოდა, აზია თავისი კოლორიტული კულტურითა და ენერგიით, ჯერ კიდევ, მრავლად ამოსახსნელი საიდუმლოებით აღსავსე, ინსტიტუტების ჭეშმარიტი სამეფო, ხოლო აშშ – სუპერ ეგო, მორალის პრეტენზიით აღჭურვილი დიდი კითხვა-ძახილის ნიშანი.

ფრიდრიხ რატცელის სივრცული გრძნობის თეორია აშშ-ის მხრიდან საბოლოოდ პლანეტარული სივრცული გრძნობის პრეტენზიაზე წინასწარმეტყველებს. ოსვალდ შპენგლერიც „ევროპის მზის ჩასვენებას“ ისე ხედავს, როგორც კაცობრიობის უდიდეს განსაცდელს. აღმოსავლეთისა და დასავლეთის ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიური თანხვედრილობა და ურთიერთგანპირობებულობა არაერთი მოაზროვნისთვის აღმოჩნდა სერიოზული ინტერესისა და კვლევის საგანი.

უკვე სრულიად დაუფარავად, ხმამაღლა ცხადდება, რომ ფლობისა თუ ყოფნის საკითხი თანამედროვე ევროპისთვის, ყველა გამოწვევას შორის, ყველაზე საპასუხისმგებლო გამოწვევაა, რაც კი ოდესმე მის წინაშე მდგარა. **ადამიანის, საზოგადოებისა და ბუნების ცალ-ცალკე, გაღმა-გამოღმა ნაპირზე დგომა საგანგაშოდ სახიფათო ზღვრამდეა მისული. „ერთადერთი შანსი, წერს ბარო, ახალ ცნობიერებაში უზარმაზარი ნახტომი გახლავთ“. ეს ნახტომი ცნობიერების ტრანსფორმაციაა, ადამიანის არსებასთან დაკავშირებული ძალების განახლებული ინტეგრაცია, რაც აღმოსავლური „ყოფნისა“ და დასავლური „ფლობის“ ერთიანობაში, მათ მორგებაში იქნება ასახული. თუ აღმოსავლეთის ადამიანისთვის, როგორც ფილოსოფოსები აღნიშნავენ, ყვავილის მშვენიერება მის ჭვრეტაში განიცდება, დასავლეთის ადამიანი ყვავილს უცერემონიოდ მოწყვეტს და შინ, მაგიდაზე ლარნაკში ჩადებს. გოეთემ, თავის დროზე საუკეთესო გამოსავალს მიაგნო: „ყვავილი გადაირგას საყვავილე ქოთანში!“ მას შემდეგ დრომ ბევრი სიახლე მოიტანა, როგორც მეცნიერები აღნიშნავენ, განვითარების თვალსაზრისით, რაც წინა 250 წლის განმავლობაში კაცობრიობამ გაიარა, ის ტემპი აღარასოდეს განმეორდება. უფრო მეტიც: განვითარება შეჩერდა!**

ბაროსთვის გოეთეს საყვავილე ქოთანს თავად დედამინაა, რომელსაც შენვე რწყავ, მზის შუქს არ უჩრდილავ და მინას უფხვიერებ. ეს ყოველივე კი, ისევე ბაროს თუ დავესესხებით, „შიგნით მიმართული გასხვივსებაა“. „შთაგონება ზევიდან კი არა, შიგნიდან მოდის, როგორც ევოლუციის ასპექტი, მისი შინაგანი გზამკვლევი სხივი მუდამ ჩვენივე გენოტიპის სახით გვეძლეოდა. ის არის ჩვენი ბუნებისა და ჩვენში განფენილი მთელი ბუნებისთვის ფორმისა და შინაგანი წესრიგის მიმნიჭებელი ასპექტი, განურჩევლად იმისა, ვიცით ჩვენ ეს თუ არა. მაგრამ, ვიდრე ამას არ გავიზარებთ, ვიდრე მასთან შეგნებულ ზიარებაზე არ ავაგებთ ჩვენს კულტურას, ვიდრე ყველანი არ მივიღებთ მონაწილეობას და ამის საფუძველზე ერთნი არ გავხდებით, ინდივიდუალური გენოტიპებით როგორც უნდა განვსხვავდებოდეთ ერთმანეთისაგან ჩვენი შეზღუდული წვდომითა და შეზღუდული მიზნებისაკენ მიმართული ქმედებით, მუდამ დავარღვევთ ბუნებრივ წონასწორობას“. (რუდოლფ ბარო).

ძნელია, არ დაეთანხმო ბაროს, რომ ყველა სოციალური უბედურების მიზეზი ჩვენივე ფსიქიკაა. სიხარბის ვნებას აყოლილი ადამიანი ადვილად ატყუებს საკუთარ თავსაც და სხვებსაც, რომ შეუძლია „უმნიველო“ ადამიანის რეპუტაციის სახელით ცხოვრება. ოღონდაც ასეთი სიყალბის მთელი ფსიქოლოგიური ძალა ისაა, რომ თავადვე სჯერა თავისივე ტყუილის. ცივილიზაციის ის ჯადოსნური ყუთი, რომელსაც ტელევიზორი ჰქვია, სხვა რაღას აკეთებს? განა მას არ ხელენიფება მცირედი სიმართლის ფონზე დიდ-დიდი ტყუილების ფიგურებად გადაქცევა?

ზემოთ აღნიშნული, ლამის უსასოო ლაბირინთიდან გამოსასვლელად ეროსის, ლოგოსისა და შრომის ერთმანეთთან შერიგება და მისი პრაქტიკაში გადატანა არის ბაროსთვის უმთავრესი, რომელიც მისი აზრით, შაბათის ცნებიდან გამომდინარეობს და, რომელიც მხოლოდ მაღალგანვითარებული კულტურისთვისაა მისაღწევია. („შაბათის ცნება“. იხ. ერის ფრომი).

სამწუხაროდ, მაღალგანვითარებულ კულტურაზე იქ ვერ ვილაპარაკებთ, სადაც დაკარგულია პოლიტიკის ნდობა, სადაც შრომასა და კაპიტალს შორის ბალანსი დარღვეულია, სადაც ხელისუფლებიდან ვერ ხდება დასაქმების უზრუნველყოფა, სადაც მოსახლეობა განიხილება, როგორც მხოლოდ ელექტორატი და ა.შ. აღნიშნული პირდაპირ მიმართულია ადამიანთა კომოდიფიცირებაზე (მოხმარების საგნებად გადაქცევა). იმ შემთხვევაში, თუ არ მოხდება აღნიშნული პროცესის დაძლევა, კარლ პოლანი დაბეჯითებით აცხადებს, რომ სრული კომოდიფიცირების შემთხვევაში აუცილებლად მივიღებთ ფაშიზმს, იმაზე უფრო მძიმე ფორმით, ვიდრე იყო. ევროპის მიზანი თავიდან აიცილოს ახალი ფაშიზმი და ტოტალიტარიზმი, უპირველესად ითხოვს დემოკრატიის ნიღბის ქვეშ დაფარული ფაშიზმისა და ტოტალიტარიზმის შემცველი ელემენტების დაუყოვნებლივ ამოცნობას.

„მწვანე ანთოლოგია“ არა მარტო ხედავს არსებულს და ამხელს ამ მწარე ბოროტების სათავეს, არამედ გადარჩენის გზაზეც მიუთითებს.

სამყაროს ერთიანობა სხვას რას უნდა გულისხმობდეს, თუ არა მის მრავალფეროვნებაში რაღაც საერთოს არსებობას. ძველი ბერძნები ასეთ საერთოს ბუნების მოვლენებში ეძებდნენ. ჰეგელი აღმოჩნდა ის, ვინც ბუნების, საზოგადოებისა და ცნობიერების განვითარების მიმართულებით ერთიან კანონებს მიაგნო. აქედან გამომდინარე, არაორგანულ და ორგანულ სამყაროს, საზოგადოებას, ცნობიერებას ინდივიდუალური მოცემულობის შემთხვევაშიც ანალოგიური მომენტები რომ აღმოაჩნდეთ, ალბათ გასაკვირიც არ იქნება.

ადამიანთა სიმრავლე, რომელსაც ხალხს ვუნოდებთ, ერთ შემთხვევაში, შეიძლება საზოგადოებას წარმოადგენდეს, ხოლო მეორე შემთხვევაში – არა. ეს იმის მიხედვით, თუ როგორია მის წევრთა შორის შეჭიდულობის ხასიათი და რა ფასეულობები აკავშირებთ მათ, რა არის მათი საზიარო ნორმები. საზიარო ნორმების ნაკლებობა, მისი შესუსტება საზოგადოებას ყოველთვის დაშლით ემუქრება. ზნე-ჩვეულებებითა და ტრადიციებით ადამიანი რაღაცა დოზით იმ საკრალურთან ურთიერთობს, რომელიც მისი ფსიქიკურის ერთგვარ დაცვის ფუნქციას ტვირთულობს და პროფანულსაც გარკვეული დოზით ემიჯნება. ასეთი საზოგადოება ახერხებს საზიარო ღირებულებებით ცხოვრებას, შინაგანი სტაბილურობისა და სიმყარის განცდაც საკმარისად გააჩნია.

პასუხისმგებლობაზე ორიენტირებული, მაღალ ღირებულებებზე დაფუძნებული საზოგადოების ასოცირება ალმასთან უპირველესად თავად ალმასის აღნაგობის სტრუქტურულიდან გამომდინარე სიმტკიცესთანაა დაკავშირებული. ალმასიცა და გრაფიტიც ხომ ნახშირბადის ალოტროპიული სახეცვლილებებია, მაგრამ ერთი მყარია, მეორე კი – რბილი და ამიტომაც, ადვილად კარგავს ფორმას, ადვილად იფშვება. ეს ცხადია, რადგან ალმასის ატომებს შორის ბმა მტკიცეა, ხოლო გრაფიტის ბმები სუსტია. საზოგადოების შემადგენელ ელემენტებსაც, ხატოვნად რომ ვთქვათ, ალმასისებრი მტკიცე ბმები ე.ი. საზიარო ნორმებით განპირობებული საიმედო კავშირები გააჩნია, რაც მისი ერთიანობის ანუ მთლიანობის საფუძველთა საფუძველია.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ XXI-საუკუნის ადამიანმა ყველაფერთან ერთად, საკუთარი თავიც მოხმარების საგნად გადააქცია. ეს კი ადამიანურ ცხოვრებასთან ცდომილების უკვე ის ზღვარია, რომლის იქითაც დასასრულია, ამიტომაც, სწორედ აქ, ამ დროში, როგორც გარდუვალის, კანონზომიერი პროცესი, ამოხეთქავს სიცოცხლის ტენდენციის მატარებელი ძალა! ეს ძველში ახლის დაბადების მისტიური მომენტია – მტკივნეულიც და ამაღლებულიც. მანამდე კი არსებულის გაცნობიერება, როგორც დილემის გასაღების მიგნების აუცილებლობა, ისე დგას თანამედროვეობის წინაშე.

თუმცა, წინ მაინც დიდი შიშია, გაცნობიერების ირაციონალური შიში! რომელიც, პრობლემის სირთულიდანაც გამომდინარეობს და რამდენადმე „თავლის სითბოს“ ხიბლსაც შეიძლება უკავშირდებოდეს. ერთი კი ცხადია, როგორც პავლე მოციქული ამბობს: „კაცად კაცად მან თვისი ტვირთი იტვირთოს“. ცხადია, ეს არც მოთხოვნაა, არც მოწოდება, ეს არის შინაგანი ვალდებულება! შინაგანი ვალდებულების იგნორირება, როგორც კლასიკური გაუცხოება, სადღეისოდ, უზარმაზარ ფიზიკურ და სულიერ ტვირთად აწევს მთელ პლანეტას. ცნობილი ეგზისტენციალისტი მხატვრის – ედვარდ მურკის ნახატებს „შიშსა“ და „კვილს“, სამწუხაროა, მაგრამ, ფაქტია, სრულად დაემსგავსა კაცობრიობის სულიერი მდგომარეობა. ცნობიერების გამოცოცხლების იმედიც სათუთაა, თუ დიდი ძალისხმევა არ განხორციელდა საამისოდაც.

კარლ გუსტავ იუნგი, როცა „გაყოფიერებულ ცნობიერებაზე“ საუბრობს, იქვე აღნიშნავს, რომ: „საკუთარი თავითვე დაჰიპნოზებულ ცნობიერებას განსჯის უნარი დაკარგული აქვს. ინფლაცია ცნობიერების რეგრესს იწვევს და მას არაცნობიერ მდგომარეობაში აბრუნებს. ეს ხდება ყოველთვის, როცა ცნობიერება არაცნობიერის შინაარსს თავის თავზე იღებს და განსხვავების უნარს კარგავს“. აღნიშნულის დასტურად იუნგი კონკრეტულ მაგალითს მიუთითებს: „როცა ბედისწერამ ევროპის სცენაზე შემზარავი ომი გაითამაშა, ომი, რომელიც არავის სურდა, არ მოინახა არავინ, ვინც თავის თავს დაუსვა მდა კითხვას: რამ ან ვინ გამოიწვია ეს საშინელება? ვერავინ მიხვდა, რომ ევროპელი რაღაცას შეეპყრო, რამაც მას ნებელობა წაართვა. წერას ატანა და არაცნობიერი მდგომარეობა მანამ გაგრძელდება, სანამ ევროპელს, ერთხელაც, საკუთარი „ღვთაებრივი ყოვლისშემძლეობა“ არ შეაშინებს“.

ევროპა დღეს, მართლაც, შეშინებულია. ეს ეგზისტენციალური შიშია, ე.ი. – სასიკეთო შიში!

სიცარიელისა და შიშის განცდის ბოლომდე მიყვანით, შეიძლება ადამიანმა საკუთარ არსებობას გარკვეული დანიშნულება და საზრისი მიანიჭოს და არსებობის უფრო მაღალ საფეხურზე ავიდეს (სიორენ კირკეგორი).

დაიხ, ეს იუნგის „ნანატრი“ შიშია – ევროპისა და არა მარტო ევროპის გადარჩენის შიში! „მწვანე ანთოლოგია“, როგორც ამ შიშის კეთილი ნაყოფი, ისე წარმოჩნდა ახლა მკითხველის წინაშე და იმ სამოთხის გადასარჩენად გვესაუბრება, სადაც ვიყავით, ვართ და იმედია, ვიქნებით.

ნანა ჩაჩუა,
პროფესორი, ფსიქოლოგი